აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 10/2006

26 დეკემბერი 2006 წ ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 (გაზეთი „ აჭარა “ 19. 01. 06 № 8) დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი “

2. დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი

12^1	კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური	3		1260
	უფროსი	1	700	700
	სპეციალისტი	2	280	560

3. დანართის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15	დამხმარე მოსამსახურე	2		440
	მძღოლი	1	270	270
	დამლაგებელი	1	170	170

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ " აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ამოქმედების დღიდან.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია